გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 50
(11 609)

2 – 4 ივლისი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## მსოფლიო XVII ჩემპიონატი ფეხბურთში

# მადლობა დაუვიწყარი ფინალისათვის!

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა აღტაცება ვერ დამალა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში იტალიელი პიერლუიჯი კოლინას მსაჯობის მიმართ.

„ნახევარფინალურმა და ფინალურმა მატჩებმა კვლავ დამიბრუნეს ობიექტური მსაჯობის რწმენა. ბრწყინვალედ გაართვა თავი ფინალურ მატჩს პიერლუიჯი კოლინამ, რაზედაც მადლობელი ვარ," — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN



მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი — ბრაზილიის ნაკრები



რივალდო

# ოჰ, ეს შეშლილი, შეშლილი საფეხბურთო სამყარო

ისტორიას ჩაბარდა მსოფლიოს კიდევ ერთი საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა თავისი წინამორბედებისაგან. ეს იყო სენსაციებით აღსავსე, კარგად ორგანიზებული, ლამაზი საფეხბურთო შოუ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბურთი მრგვალია და კაცმა არ იცის, რა შეიძლება მოხდეს...

## ჩემპიონატის აღმოჩენა



სენეგალის ნაკრები თავისი არსებობის მანძილზე პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს გუნდი აუტსაიდერად შერაცხეს. მაგრამ „აფრიკელმა ლომებმა" პირველსავე მატჩში მსოფლიო ჩემპიონი — საფრანგეთის ნაკრები დაამარცხეს. სენეგალის გუნდმა, რომელსაც საფეხბურთო სამყაროში ნაკლებად იცნობდნენ, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალამდე მიაღწია.

## პროგრესი

თურქეთისა და კორეის ნაკრებებს ჯგუფიდან გასვლას პროგრამა-მაქსიმუმად უთვლიდნენ, მაგრამ საუკეთესო ოთხეულში თუ მოხვდებოდნენ, ამას ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა.

თურქეთის ნაკრებმა დამაჯერებლად ითამაშა პირველივე შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრებთან. მომავალი ჩემპიონები სირცხვილს მსჯმა გადაარჩინა. წყენა თურქებმა ნახევარფინალისთვის შემოინახეს... მოხდა ისე, რომ ეს გუნდები ერთმანეთს მართლაც შეხვდნენ ნახევარფინალში, თუმცა თურქებმა რევანშის აღება ველარ მოახერხეს. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის მატჩი მოუგეს სამხრეთკორეელებს და ჩემპიონატის უსწრაფესი გოლიც კი გაიტანეს.

## ღირსებაშელახული ჩემპიონები

მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ჩემპიონებმა ტურნირი ვადამდე მიატოვეს და თანაც — უგოლოდ! დიახ, ფავორიტად შერაცხულმა საფრანგეთის ნაკრებმა ჩემპიონატზე ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლო. თუკი პირველ ორ შეხვედრაში წარუმატებლობა გუნდის ლიდერის — ზინედინ ზიდანის არყოფნას დააბრალეს, მესამე მატჩში დანიელებთან შეხვედრაში, ამ ფეხბურთელის ოსტატობამაც ვერ უშველა ფრანგებს. ამ ფაქტმა ყველას დაანახვა, თუ რა მძიმე შედეგები მოაქვს ფიფას წესს, როცა ჩემპიონს მომდევნო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება ავტომატურად ეძლევა.

## უიღბლონი

ერთ-ერთი ფავორიტი იყო იტალიის ნაკრები, მაგრამ ამ უკანასკნელს სპორტულმა ფორტუნამ ზურგი შეაქცია. მსაჯებმა ხუთი გოლი არ ჩაუთვალეს „სკუადრა აძურას" და შინ გაამგზავრეს. გაწბილებული დარჩა კიდევ ერთი ფავორიტი — არგენტინის ნაკრები, რომელმაც აშკარად ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

## ძველი, ახალი ჩემპიონი

ბრაზილიის ნაკრებმა, მართალია პირველ ტურში თურქებთან არადამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მომდევნო შეხვედრებში სრულად გაიბრწყინა. ინგლისელებთან გამარჯვების შემდეგ ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ამ გუნდს ჩემპიონობა გაუჭირდებოდა. ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელები პირველად შეხვდნენ გერმანიის ნაკრებს და ფეხბურთის ბრწყინვალე გაკვეთილიც ჩაუტარეს. რონალდომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის კვლავ №1 ფეხბურთელია მსოფლიოში და ამასწინანდელი ჩავარდნები მხოლოდ და მხოლოდ დროებითი იყო.

## გულშემატკივრობა

ბოლო პერიოდში ერთგვარ წესად დამკვიდრდა, ყოველი მომდევნო ჩემპიონატი წინამორბედზე უკეთესი უნდა იყოს. ეს წესი კორეასა და იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზეც „გავრცელდა". აზიელებმა აჩვენეს, რომ ძალუძთ მაღალ დონეზე ჩაატარონ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა ფეხბურთის მოყვარულებსაც და ჩემპიონატის მონაწილეებსაც კომფორტულად ეგრძნოთ თავი. წაგებული არავინ დარჩენილა — მართლაც რომ დიდებული ფეხბურთი ვიხილეთ... თუმცა, დამარცხებულებიც არსებობენ... არა მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე მის ფარგლებს გარეთაც, — ბევრმა ფეხბურთის მოყვარულმა უამრავი თანხა დახარჯა ტოტალიზატორებში (საერთოდ, ტოტალიზატორების ხელმძღვანელებს არ უყვართ მაღალი რანგის ტურნირები, ვინაიდან ადრე ამას მათთვის ნაკლები მოგება შემოჰქონდა, ამჯერად გაუმართლათ, — უდიდესი შემოსავალი მიიღეს. ეს ჩემპიონატი ზოგიერთებმა ტოტალიზატორის მსოფლიო ჩემპიონატადაც მონათლეს).



გერმანიის ნაკრები

ზოგიერთმა მოთამაშემ დიდ ზარალს ველარ გაუძლო... დადის ხმები, რომ თბილისში ერთმა ტოტალიზატორის მოყვარულმა საკუთარი ბინა გაყიდა და იტალიის ნაკრების მეოთხედფინალში გასვლაზე თეთრმეტი ათასი დოლარი ჩადო, იტალიელებმა წააგეს და, სამწუხაროდ, ყველაფერი ტრაგიკულად დასრულდა... ვერ გეტყვით, რამდენად შეეფერება ეს ფაქტი სინამდვილეს, თუმცა ერთს ვიტყვით, რომ ფეხბურთის გამო, მსხვერპლიც ყოფილა და ომიც დაწყებულა... უმსხვერპლოდ არც ამ ჩემპიონატს ჩაუვლია — კორეის ნაკრების გამარჯვებით გახარებულ გულშემატკივარს გული წაუვიდა და იმქვეყნად „გაიპარა".

თენგიზ ჩოგანიძე

# I – ბრაზილია
# II – გერმანია
# III – თურქეთი
# IV – კორეა



კოლინამ ფინალი შესანიშნავად იმსაჯა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 1 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს

# ქართული კალათბურთის დიდება 40 წლისაა!



გუშინ თბილისში ჩამოვიდა „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი —ევროპის თასის მფლობელი






## მატჩის სტენოგრამა

*„დინამო“* — მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, ალთაბაევი, ხაზარაძე.

*„რეალი“* — ლუისი, როდრიგესი, სევილიანო, ჰაიტაუერი, მორისონი.

პირველი წუთი — ალთაბაევის ორი სროლა და „დინამოს“ მიჰყავს ანგარიში — 4:0.

მესამე წუთი — ხაზარაძის, ლუისის, ჰაიტაუერისა და როდრიგესის სროლები — 6:6.

მეხუთე წუთი — ესპანელები გადიან წინ — 12:8, მაგრამ ლეჟავას და მინაშვილის წყალობით ანგარიში თანაბრდება — 14:14.

მეშვიდე წუთი — წინ უკვე „დინამოა“ — 17:14.

მეცხრე წუთი — უგრეხელიძეს ცვლის კილაძე. „დინამო“ წინაა — 19:16.

მეთერთმეტე წუთი — გათამაშდა როდრიგესი. ანგარიშში სხვაობა შემცირდა — 21:20.



მეცამეტე წუთი — „რეალი“ წინ გადის ქულით, მაგრამ მინაშვილი ასწორებს მდგომარეობას — 25:24. აქვე ხდება ორი შეცვლა. ხაზარაძეს ცვლის მოსეშვილი, ლეჟავას — პეტროვი.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე შესამჩნევად გათამაშდა ჰაიტაუერი, თუმცა მისი დარაჯი პეტროვიც ენერგიულად უტევს ესპანელთა კალათს. ორი ცენტრალური თავდამსხმელის ბრძოლაში პეტროვმა ორი ქულა მოიგო. ტაიმის შედეგია 38:36 „დინამოს“ სასარგებლოდ.

მეორე ნახევარს „დინამო“ ასეთი შემადგენლობით იწყებს: მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, ალთაბაევი, კილაძე.

მესამე წუთი — ბრძოლა თანაბარია. ლეჟავას, უგრეხელიძის (ორჯერ), კილაძისა და მინაშვილის სროლებს ესპანელები 12 ქულით პასუხობენ. ანგარიშია 48:48.

მეექვსე წუთი — ანგარიში სწრაფად იცვლება. ტემპი მაღალია. თამაში „დინამოს“ მიჰყავს 3 ქულით — 57:54.

მეათე წუთი — 3-ქულიანი სხვაობა ძალაშია. ჰაიტაუერი აქტიურობს სხვებზე მეტად.

მეცამეტე წუთი — „დინამო“ წინაა 4 ქულით — 70:66. ო. ქორქია იღებს წუთშესვენებას. თბილისელები ტემპს ანელებენ.

მეთექვსმეტე წუთი — სწორი გადაწყვეტილებაა! „დინამომ“ ამ სამ წუთში საბოლოოდ გასტეხა მოწინააღმდეგე. ანგარიშში სხვაობამ 13 ქულას მიაღწია — 83:70.

მეცხრამეტე წუთი — თამაში ფაქტობრივად აქ დამთავრდა. მოსეშვილმა და ინწკირველმა წერტილი დაუსვეს ქართველი კალათბურთელების გამარჯვებას. ანგარიშია 90:83. ევროპის ჩემპიონთა თასმა პირი საქართველოსკენ იბრუნა.

## 40 წლის შემდეგ...

# ზეიმი სინანულით...

ეს იყო ზეიმი, მაგრამ მძიმე სანახავი. ბიჭებს ასაკი მოძალებიათ, ოთხი თანაგუნდელი კი ამქვეყნად აღარ არის...

და კიდევ; მძიმე იმიტომ, რომ ეს არ იყო საყოველთაო ზეიმი, არადა, უნდა ყოფილიყო. გუნდი, რომელმაც ბურთიან სპორტის სახეობებში საქართველოს პირველმა მოუტანა ევროპის თასი, მეტ დაფასებას იმსახურებდა.

მაგრამ, საქართველო დღეს ის აღარაა, რაც თუნდაც ამ 10-12 წლის წინათ იყო. ეროვნული რასაც ჰქვია, ჩვენდა სავალალოდ, არ ამაღლებულა, პირიქით...

ქართველ ვაჟ კალათბურთელთა 1962 წლის მონაპოვარი, მანამდე გაუგონარი და არნახული, ეროვნულ დღესასწაულად ვერ იქცა – სპორტული სამყაროს, კალათბურთელთა ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობართა და ნაცნობთა, მცირეოდენ გულშემატკივართა მხრიდან პატივმიგების საღამოდ იქცა მხოლოდ. მისი ფორმატი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზმა უპრობლემოდ დაიტია. სხვა დროს, ალბათ, სპორტის სასახლე, იქნებ ეროვნული სტადიონიც ვერ გასწვდომოდა ყველა მსურველს. სპორტი – სპორტისთვის. შეიკრიბეთ და იზეიმეთ, – აი სადამდე მივედით! ვინ და რატომ გვაჩვევს, რომ პატივი მხოლოდ სპორტული სამყარომ უნდა მიაგოს თავის გმირებს, ძველს თუ ახალს? და დარჩა სკამები ცარიელი საპატიო ადგილზე საპატიო სტუმრებისთვის, პირველ რიგში. დარჩა მოლოდინის იმედი იმედად... ირაკლი მეძმარიაშვილზე და არჩილ გოგელიაზე არ ვამბობთ. ისინი უფრო მასპინძლები იყვნენ ვიდრე სტუმრები...

საღამოს რეჟისურა არ დაეწუნებოდა. და მაინც, იქნებ კარგად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ გამხმოვანებელ გოგონას ცუდად გამოსდიოდა, როცა გმირ კალათბურთელთა ბიოგრაფიას 1962 წელს პრესაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით აწვდიდა მაყურებელს, ეს ხან გასაგები იყო, ხან არა, რამაც იუბილართა გულისწყრომაც კი გამოიწვია.

თუმცა, სჯობს კარგი დავინახოთ! რომ არა კეთილი ადამიანები, ალბათ, არც ეს საღამო შედგებოდა, როდემდე შეიძლება ვიყოთ მხოლოდ გოგი თოფაძისა და მისნართა იმედად?

მცირე დარბაზი მაინც აივსო. და ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ხალხს უკეთესი მეხსიერება აქვს, როგორც ყოველთვის, ვიდრე ხელისუფლებას...

თ. თომაშვილი




## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# მოკრივეთა ტურნირი ჭიათურაში



ტარიელ ზანდუკელი

ჭიათურაში კრივს ბოლო წლებში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და სრულიად ბუნებრივი იყო, რომ 1984-85 წლიანთა ასპარეზობა თენგიზ ჯაოშვილის პრიზზე, სწორედ ამ ქალაქში დაინიშნა. საასპარეზოდ შეიკრიბნენ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, ჭიათურის, ზესტაფონის, საჩხერის, ტყიბულის, ვარიანის უძლიერესი მოკრივეები. ტურნირს შესანიშნავად უძღვებოდა მსაჯთა ბრიგადა ბესიკ ვარძელაშვილის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ თბილისიდან მხოლოდ სამი სპორტსმენი გამოდიოდა რინგზე და სამივე გამარჯვებული გახდა. ესენი არიან – ტარიელ ზანდუკელი, დავით ავალიანი და თამაზ ჯავოევი. ტარიელ ზანდუკელმა ყველას დაამახსოვრა თავი, როგორც შეუპოვარმა მებრძოლმა, ზრდილმა და უაღრესად მოწესრიგებულმა მოკრივემ, რომელიც სულიერი და ფიზიკური სრულყოფის განსახიერებაა. მაყურებელმა იგი ქართული კრივის იმედად მიიჩნია (მწვრთნელი ედვარდ არუთინოვი, ტარიელ ზანდუკელის დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ოლიმპიურ პრიზიორს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რამაზ ფალიანს და მწვრთნელს დავით ქავთარაძეს). შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს აგრეთვე ფოთელმა გიორგი უნგიაძემ, ქუთაისელმა კობა ფხაკაძემ, რომელმაც ლამაზი ტექნიკისათვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებსაც: ლევან კაპანაძე, დავით შეყილაძე, იოსებ კაპანაძე, ირაკლი ქამუშაძე, ნიკა კაპანაძე (ყველა – ჭიათურა), ლაშა ადამია და გიორგი მაკალათია (ორივე – ფოთი). ტურნირს ესწრებოდა საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი.

სამწუხაროდ, ჩვენი რჩეული მოკრივეები უსახსრობის გამო ვერ გაემგზავრებიან კუბაში, სადაც მსოფლიო პირველობა ტარდება. იქნებ ვინმემ გამოიღოს დახმარების ხელი?

დავით ზანდუკელი, სპორტის ოსტატი

# ოლიმპიურ დღეს მიეძღვნა

საქართველო
GEORGIA

*30 ივნისს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით ჩატარდა საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ტრადიული მძლეოსნური გარბენი. წვიმიანი ამინდის მიუხედავად თბილისში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის უამრავმა რბენის მოყვარულმა. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, სუვენირებითა და ოლიმპიური დიპლომებით.*



*სურათებზე: სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და აღმასრულებელი დირექტორი დავით კინწურაშვილი (ქვედა სურათზე) აჯილდოებენ გამარჯვებულებს.*



## მადლობა I არხს, ვოვა ნიკოლაიშვილს!

გასულ შაბათს ტელევიზიით ვნახე გადაცემა, რომელიც მიეძღვნა ჩვენს სახელოვან ფალავანთა ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს გურამ საღარაძეს. უფროსი თაობის ადამიანებს ნამდვილად მოგვენატრა ასეთი გადაცემები, გასული საუკუნის მეორე ნახევარი 90-იან წლებამდე ხომ ქართული სპორტის ოქროს ხანა იყო თავისი ბრწყინვალე ათლეტებით. ჩვენ ვიცით მათი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ერის წინაშე, მაგრამ ეს უნდა იცოდეს ახალმა და მომავალმა თაობებმა, ამიტომ აუცილებელია ასეთი გადაცემები.

მადლობა საქართველოს ტელევიზიის I არხს და გურამ საღარაძეზე გადაცემის ავტორს ვოვა ნიკოლაიშვილს. მადლობა იმისთვის, რომ ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა წარსული., ახალგაზრდა თაობას კი საშუალება მიეცა გაცნობოდა წინამორბედთა ვაჟკაცობას. ეს მათ იმის რწმენასაც ჩაუსახავს, რომ ათეული წლების შემდეგ მათი სპორტული გმირობაც დაფასდება.

კარლო დილიბაშვილი,
ქართველ ფალავანთა ვეტერანი გულშემატკივარი, თბილისი.

„ლელოს“ შეძენა, თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს“ (რედაქციის წინ, კოსტავას, 14) გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.



## ვალერი ჩოლარია: „უეფასთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ“

უეფას შტაბბინაში ვიზიტიდან დაბრუნებულმა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს ვიზიტის შედეგებზე ელაპარაკა.

სფფ-ს მესვეურნი შეხვდნენ უეფას აღმასრულებელ დირექტორს გერჰარდ აიგნერს და ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მოილაპარაკეს. სფფ-ს ახალი ოფისის ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად უეფას გრანტიდან მივიღებთ 250 ათას შვეიცარიულ ფრანკს. 10-11 ივლისს უეფას აღმასკომი ჩატარდება, სადაც გაირკვევა თბილისში უეფას ჩინოსანთა ვიზიტის ზუსტი ვადა. სწორედ იქ გაირკვევა სფფ-ს ახალი ოფისის გახსნისა და პრეზენტაციის ზუსტი თარიღი. გაგრძელდება სფფ-ს ურთიერთობა კირხის ჯგუფში შემავალ „კირხ+სპორტთან“ ტელეტრანსლირების საკითხებზე, ეს ფირმა „ტელესპორტის“ მემკვიდრეა. სფფ 10 დღეში მიიღებს ტექნიკური სპონსორის „ლოტოს“ სპორტული ფორმის ახალ კოლექციას. სფფ შემდგომშიც ითანამშრომლებს უეფას პარტნიორ შვეიცარიულ ბანკ UBS-თან, სადაც გახსნილია სფფ-ს ანგარიში. მასმედიასთან საუბარში ვალერი ჩოლარია წინასაყრილობო ვითარებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ სფფ წესდების სრული დაცვით მოქმედებს, ხოლო დელეგატებად მოწვეული არიან სფფ-ში პირდაპირ შემავალი სუბიექტები, რეგიონული ფედერაციები, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის ეროვნული ფონდი და ა.შ.

გენერალურმა მდივანმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მომზადების გრაფიკიც გაგვანდო. შვეიცარიელებთან მატჩისთვის ორივე ნაკრები გერმანიაში რუიტის სპორტულ საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება. ქართული დელეგაცია გერმანიაში 31 აგვისტოს გაემგზავრება და იქ 8 სექტემბრამდე დაჰყოფს. შეგახსენებთ, რომ პირველ შესარჩევ მატჩებს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდები 6 და 7 სექტემბერს გამართავენ. მატჩის ადგილი და დრო მოგვიანებით დადგინდება.

## ცვლილებები წესებში



წლეულს, მარტში ფიფამ თამაშის წესებში ცვლილებები შეიტანა, შეიმუშავა ინსტრუქციები და დირექტივები მსაჯებისათვის. თამაშის წესებში შესული ცვლილებები და დამატებები ძალაში შევიდა 1 ივლისიდან. ინსტრუქციები და დირექტივები გასათვალისწინებელია მათი მიღებისთანავე. ცვლილებათა არსი კი ასეთია:

**წესი №4 — მოთამაშეთა ეკიპირება**

რეკლამის განთავსება შეიძლება მხოლოდ მოთამაშეთა მაისურზე. რეკლამა აკრძალულია შორტებზე/ტრუსებზე, გამაშებზე და ფეხსაცმელზე.

მოთამაშეებს ეკრძალებათ აჩვენონ შიდა მაისურები, რომელზეც გამოსახულია ლოზუნგები და რეკლამა, თუ ასეთი რამ გააკეთა, მოთამაშე დაისჯება შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ.

მაისური უნდა იყოს გრძელსახელოებიანი.

**წესი №5 — მსაჯები**

მსაჯი ვალდებულია გააჩეროს თამაში თუ მისი აზრით მოთამაშემ სერიოზული ტრავმა მიიღო და აუცილებელია მისი გაყვანა მინდვრიდან. ტრავმირებულ ფეხბურთელს უფლება აქვს დაბრუნდეს მინდორზე მას შემდეგ, როდესაც მატჩი განახლდება.

**წესი №12 — წესის დარღვევა და უმართებულო ქცევა**

**ირიბი თავისუფალი დარტყმა** — ინიშნება იმ გუნდის მისამართით, რომლის მეკარეც საჯარიმო მოედანზე დაარღვევს ოთხიდან ერთ-ერთ წესს (ამიერიდან ხუთის ნაცვლად აღინიშნება ოთხი წესის დარღვევა).

**— სიმულაცია.**

მსაჯებს მიეცათ მკაცრი მითითება დასაჯონ სიმულანტი ფეხბურთელები და გააფრთხილონ არასპორტული საქციელისათვის.

**— მოთამაშეები, რომლებიც დროს ჰიმავენ**

თამაშის წესები ზუსტად ასახავენ სასჯელს ასეთი დარღვევისათვის და მსაჯი ვალდებულია ის გამოიყენოს.

**— მოთამაშეთა დროებითი სასჯელი**

ამ წესს იყენებს ზოგიერთი მეორე ჯგუფის საფეხბურთო ფედერაცია, რაც დაუშვებელია და ასეთი ფედერაციების მიმართ ფიფა გამოიყენებს დისციპლინარულ სანქციებს.

**— გოლის გატანით გამოწვეული აღფრთოვანება**

მოთამაშეთა უმეტესობა გოლის გატანის შემდეგ იხდის მაისურს და გამოაჩენს შიდა მაისურს, რაც დაუშვებელია, თუ მასზე რეკლამაა განთავსებული, ასეთ შემთხვევებში მოთამაშე დისციპლინარული სანქციებით დაისჯება.

ამიერიდან მსაჯებისთვის, ასისტენტებისთვის დამატებით ინსტრუქციებს შეიტანენ თამაშის წესებში.

## სპირინის გაკვეთილები

**გუშინ თბილისს ეწვია ფიფას არბიტრი რუსი ალექსეი სპირინი, რომელიც დღეიდან „ლოკომოტივის“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მსაჯებს ოთხდღიან პროგრეს-კურსებს ჩაუტარებს. მსაჯთა კორპუსი ზემოთ მოყვანილ 1 ივლისიდან თამაშის წესებში შესულ ცვლილებებს და მსაჯებისთვის აუცილებელ დირექტივებსა და ინსტრუქციებზეც იმსჯელებს.**

## ციტატა

**თემურ ჰყონია:** „იმასაც ვფიქრობ, მომავალი წლისათვის საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე რომელიმე გუნდის მფლობელიც გავხდე და საფუძველი ჩავუყარო კიდევ ერთ ძლიერ გუნდს... მე არ ვიცნობ დათო პეტრიაშვილს, მაგრამ მის უკან ბიზნესმენები დგანან, პატარკაციშვილმა ღიად დააფიქსირა, რომ უჭერს მას მხარს...

კაცმა თავის იდეებს და ფულად სახსრებს რეალიზაცია უნდა გაუკეთოს, რა არის ამაში ცუდი? არ არის ფეხბურთი მარტო სპორტი, ეს ნაციონალური საკითხია, პოლიტიკის ნაწილია, რისი დასტურიც ჩვენი მეზობელი თურქების წარმატებაა“.

გაზეთი „მეოთხე“ №25.

## ინტერტოტოს თასი. I ეტაპი

*საპასუხო მატჩი.. 29 ივნისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.*

ვიტ ჯორჯია (საქართველო) – ლოკერენი (ბელგია) 3-2 (1-3).

*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, კვახაძე (ლ. მერებაშვილი 61), ინწკირველი (წუწუნავა 69), თ. კობიაშვილი, ლაშა ნოზაძე, დ. დოლიძე, გოჩაშვილი (ე. მერებაშვილი 82), გ. ყიფიანი, ადამია, ლ. მელქაძე, თედორაძე.

*ლოკერენი:* ვან დერგუტი, კონტე, კატანა, ზერე, ვიგარსონი, გრეტარსონი, კრისტინსონი (კიმოტო 46), სოლეი, სილა, დებეული, ლონგი (ვან ჰოენი 87).

*გოლები:* 0-1 სილა (15), 1-1 გოჩაშვილი (44), 1-2 კიმოტო (54), 2-2 ყიფიანი (60), 3-2 წუწუნავა (90).

*გააფრთხილეს:* გრეტარსონი, ვან ჰოენი; *მსაჯი:* მ. როსი (ჩრდ. ირლანდია).

## ვიტამ დაიწყო და... დაამთავრა

პირველ მატჩში ორბურთიანი დეფიციტის მიუხედავად, მასპინძლებს შეეძლოთ ორრაუნდიან პაექრობაში წარმატებაზე ეფიქრათ, მაგრამ, როდესაც, თითქმის ასპროცენტიან მრავალ საგოლე მომენტს ვერ იყენებ, იძულებული ხარ მცირედით დაკმაყოფილდე. სამწუხაროდ, ასე დაემართა „ვიტ ჯორჯიას“. პირველ ტაიმს, თავისუფლად შეიძლება გამოუყენებელ ეპიზოდთა ტაიმი ვუწოდოთ. მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს მატჩი, მელქაძის დარტყმა ასცდა ბელგიელთა კარს. ვიტელთა რამდენიმე შეტევას სტუმრებმა ერთი კონტრშეტევით უპასუხეს. დაცვის ცენტრში ინწკირველმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, ბურთი მოგერიების ნაცვლად, მეტოქეს ჩააბარა და სილამაც ხელსაყრელი პოზიციიდან ანგარიში გახსნა. მერე, უკვე თამაში ცალკარში მიდიოდა. ისევ მელქაძე უტევს და აცილებს კარს. მას კიდევ რამდენჯერმე შეეძლო გოლი გაეტანა, მაგრამ ამაოდ. შეტევაში მცველებიც ერთვებიან, ნოზაძე, ინწკირველი. მათ იერიშებს ბელგიელთა მეკარე და მცველები იგერიებენ. ტაიმის ბოლოს, როგორც იქნა გაუმართლდაც ვიტელებს. ადამიას პასით გოჩაშვილი საჯარიმოში შედის, მცველს ატყუებს და აუღებელს ურტყამს. პირველი ნახევარი ფრედ მთავრდება 1-1. ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ მასპინძლებმა. მეორე ტაიმში სულ ცოტა ორი გოლია გასატანი სტუმართა უპირატესობის გასაბათილებლად, თუმცა ისევ შეცდომა დაცვაში და კიმოტო საბოლოოდ ცივ წყალს ასხამს ვიტელთა ოცნებას. ახლა ოთხი გოლია გასატანი მეორე ეტაპზე გასასვლელად. „ვიტ ჯორჯიას“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა ფარხმალი მაინც არ დაყარა, შეტევები გააგრძელა და სტუმრებს ყიფიანმა და წუწუნავამ ორი ჩინებული გოლი გაუტანეს. თუმცა, ეს გამარჯვება თასზე ასპარეზობის გაგრძელების უფლებას აღარ იძლევა.

ქართული გუნდებიდან „ვიტ ჯორჯიამ“ პირველმა გახსნა საფეხბურთო, ახალი ევროპული სეზონი და, სამწუხაროდ, პირველმა დაასრულა ევროტურნირი.

***სხვა მატჩები:***

ქალგირისი (ლიტვა) — ჰონვედი (უნგრეთი) 0-0 (1-0)

ტეუტა (ალბანეთი) — ვალეტა (მალტა) 0-0, (2-1)

უნიონი (ლუქსემბურგი) — გლორია (რუმინეთი) 0-0 (0-2)

ბროტნიო (ბოსნია) — ციურიხი (შვეიცარია) 2-1 (0-7)

კოპერი (სლოვ) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 0-0 (0-1)

კერვსი (უელსი) — მარეკი (ბულგარეთი) 1-1 (1-3)

ბელუპო (ხორვატია) — დუკლა (სლოვაკეთი) 5-0 (1-3)

ირონი (ისრაელი) — ბრნო (ჩეხეთი) 1-1 (5-0)

ლევადია (ესტონეთი) — ლეირია (პორტუგალია) 1-2 (0-1)

სტ. ჯულია (ანდორა) — კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 2-2 (0-5)

აკადემისკი (დანია) — ბატე (ბელარუსი) 0-2 (0-1)

ტოფტირი (ფარერები) — სტ. გალენი (შვეიცარია) 0-6 (1-5)

ჰაფნარი (ისლანდია) — ცემენტარნიცა (მაკედონია) 1-2 (3-1)

ბრეგენცი (ავსტრია) — პარალიმნი (კვიპროსი) 3-1 (2-0)

სინოტი (ჩეხეთი) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 4-0, (0-0)

სტ. პატრიკი (ირლანდია) — რიეკა (ხორვატია) 1-0 (2-3)

შირაქი (სომხეთი) — სტ. კლარა (პორტუგალია) 3-3 (0-2)

დინაბურგი (ლატვია) — ზაგლებე (პოლონეთი) 1-0 (1-1)

ჰაკა (ფინეთი) — ობილიჩი (იუგოსლავია) 1-1 (2-1).

## „ჩოხელის თასი“ — სულაქველიძის აკადემიას

**დამთავრდა სფფ-ს ეგიდით გამართული ჭაბუკთა პირველობები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. გივი ჩოხელის თასი (1984-85) მოიპოვა თენგიზ სულაქველიძის აკადემიის გუნდმა. 27 ივნისს, ტრადიციულად, სახელოვანი ფეხბურთელის მშობლიურ ქალაქ თელავში გამართულ ფინალში „აკადემიკოსებმა“ ქუთაისის „მართვეს“ აჯობეს პენალტების სერიაში — 5-4. ძირითადი და დამატებითი დრო დასრულდა ფრედ — 0-0.**

## ვეტერანებმა მეთაური არ შეცვალეს

28 ივნისს ვეტერან ფეხბურთელთა დიდი თავყრილობა იყო ეროვნულ სტადიონზე. გაიმართა საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის IV საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. კავშირის თავმჯდომარემ ვლადიმერ ელოშვილმა კოლეგებს ხუთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბარა. სხდომამ საკმაოდ ემოციურ ატმოსფეროში ჩაიარა, იყო ხუმრობაც, იუმორიც, ლექსებიც და უმთავრესი, სერიოზული ლაპარაკი და გამოსვლები დაგროვილ პრობლემებზე. ყურადღება გამახვილდა ვეტერანებისა და მათი ოჯახების სოციალურ საკითხებზე. ვეტერანთა კავშირის ერთადერთ თანამდგომად კვლავ რჩება საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. თუ არ ჩავთვლით კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ მიერ კავშირის ანგარიშზე გადმორიცხულ 200 ლარს. ხუთი წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, ვეტერანთა პრობლემების მოგვარებით, სფფ-ს გარდა, თავი არავის შეუწუხებია. ამ ხნის მანძილზე მატერიალური დახმარება მიიღო 288 ვეტერანმა (თითოეულმა 130 ლარის ოდენობით), ამ დახმარებას მხოლოდ სფფ-სგან იღებენ ვეტერანები. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ვეტერანთა კავშირს ეროვნული ნაკრების ყოველ მატჩზე გაყიდული თითოეული ბილეთიდან თითო ლარი ერიცხება. სხვადასხვა თაობის ვეტერანებმა მრავალ საკითხზე იმსჯელეს. გადაუჭრელ საკითხად რჩება ბიზნესმენთა დაინტერესება ვეტერანთა მდგომარეობით, ვლადიმერ ელოშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მომავალში კავშირის მუშაობა და კონტაქტები უფრო ქმედითი გახდება, გახშირდება ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩები. შეიძლება თანხების მოზიდვა კომერციული საქმიანობით. ვეტერანებმა ერთმანეთს თანადგომისთვის, უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდეს. საფეხბურთო საკითხები პროფესიონალებმა უნდა გადაწყვიტონ — ითქვა სხდომაზე. კავშირის წევრები სხდომის ბოლოს მთავარ საკითხს მიუბრუნდნენ და ღია კენჭისყრით, ერთხმად, განვლილი მუშაობა დადებითად შეაფასეს და კავშირის თავმჯდომარედ კვლავ ხუთი წლის ვადით აირჩიეს საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი. ასევე დაასახელეს სფფ-ს V ყრილობის 10 საპატიო სტუმარი. — ილია რუხაძე, სერგო კუტივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ილია დათუნაშვილი, დავით მუჯირი, თენგიზ სულაქველიძე, ბესარიონ მჭედლიშვილი, ზორბეგ ებრალიძე, ფირუზ კანთელაძე და გრიგოლ ცაავა.

## ბავშვთა ფეხბურთი

## მესხის თასი — «დინამოს»?

ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის თასის გათამაშება წლეულს მარტში დაიწყო. ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა მრავალი გუნდი ჩაება პირველობაში. 1986 წლიანთა შორის თბილისის „დინამოს“ ჭაბუკებმა თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. შემდეგ ეტაპზე სძლიეს ბათუმისა და ზუგდიდის თანატოლ დინამოელებს, გორის „დილას“ და „მერანს“. ამ უკანასკნელთან ძირითადი დრო დამთავრდა 1-1. პენალტების სერიაში იმარჯვა „დინამომ“ (უფროსი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი, მწვრთნელი ბორის კილასონია, სკოლის დირექტორი ოთარ გეგეჭკორი). გათამაშების ბომბარდირიც გამარჯვებული გუნდიდანაა — ვოვა მანჯგალაძე (22 ბურთი).




*თბილისის „დინამო-86“. მარცხნიდან: I რიგში — ბორის კილასონია (მწვრთნელი), ალეკო ბაძაღუა, მახო მაღრაძე, გიორგი ბერიშვილი; II რიგში — გიორგი რუსიძე (კაპიტანი), გოგიტა ქლენტი, ირაკლი გაბელია, ლევან ლომიძე, ვოვა მანჯგალაძე, გიორგი მელაშვილი, ირაკლი ჩხარტიშვილი, გიგა ლობჟანიძე; დგანან — ვახტანგ კოპალეიშვილი (მთავარი მწვრთნელი), არჩილ ბაჯელიძე, გიგა პერტია, დათო ყრუაშვილი, გიორგი გუნცაძე, კახა ოსიტაშვილი, ზურაბ პატაშური, დათო მეგუნეიშვილი, გიორგი რუხაძე, ნიკა ნიჟარაძე, ზაზა ბურჭულაძე, რეზო კახნიაშვილი, ვაჟა სულაბერიძე.*

# ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია

მატჩი №62. იოკოჰამა (იაპონია). ფინალი.
გერმანია – ბრაზილია 0-2 (0-0)
*გერმანია:* კანი, ლინკე, რამელოვი, მეტცელდერი, ფრინგსი, იერემისი (ასამოა), ჰამანი, შნაიდერი, ბოდე (ციგე), ნოივილი, კლოზე (ბირჰოფი).
*ბრაზილია:* მარკოსი, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, ჟილბერტო სილვა, კლებერსონი, რონალდინიო (ჟუნინიო), რივალდო, რონალდო (დენილსონი).
*გააფრთხილეს:* როკე ჟუნიორი, კლოზე.
*გოლები:* 0-1 რონალდო (67), 0-2 რონალდო (80).
*მსაჯი:* პიერ ლუიჯი კოლინა (იტალია).

კვირას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში გერმანიის ნაკრების დამარცხებით, ბრაზილიის ნაკრებმა მეხუთედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ამ გუნდების პირველი შეხვედრა ჩემპიონატის დონეზე.

პირველი წუთები გერმანელ ფეხბურთელთა შეტევებით მიმდინარეობდა. ისინი სრულად აკონტროლებდნენ ბურთს და ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეკარე მარკოსის კართან. ევროპელთა რიგებში გუნდის ლიდერის მიხაელ ბალაკის არყოფნა ნამდვილად არ იგრძნობოდა. გოლის გატანა შეეძლო კლოზეს, სახიფათო იყო ნოივილის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთები. და მაინც 20-წუთიანი უპირატესობის მიუხედავად, გერმანელთა ფეხბურთელებმა ანგარიშის გახსნა ვერ მოახერხეს.

შუა ტაიმში ბრაზილიელების დროც დადგა. მათ ინიციატივა იგდეს ხელთ და ნათელი გახდა, რომ გერმანელთა დაცვა უსუსური იყო. რონალდოს, რონალდინიოს გადაცემის შემდეგ, შეეძლო გოლის გატანა. მაგრამ ბოლო მომენტში ზუსტად ვერ დაარტყა. ტაიმის ბოლომდე სამხრეთამერიკელებმა კიდევ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. მოკლედ რომ ვთქვათ, ბრაზილიელებმა საჩემპიონო ფეხბურთის თამაში დაიწყეს, თუმცა გერმანელი ფეხბურთელები საკუთარ კარს არ მიჰკედლებიან — ცდილობდნენ სახიფათო კონტრშეტევების განხორციელებას.


ბრაზილია – გერმანია

მეორე ტაიმიც, პირველის მსგავსად, გერმანელთა აქტიურობით დაიწყო, თუმცა ისინი ამაოდ ცდილობდნენ რეალური შედეგის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ საგოლე მომენტები ორივე კართან საკმაოდ იყო, პირველი გოლი მაინც მოულოდნელად გავიდა: რივალდოს დარტყმა ოლივერ კანმა ვერ შეაკავა, ბურთი მოიგერია და, მოულოდნელად, იქვე აღმოჩნდა რონალდო, რომელმაც ამ ჩემპიონატზე თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა.

სიტუაციის გამოსწორების მიზნით, რუდი ფიოლერმა მოედანზე ბირჰოფი შემოიყვანა, გერმანელებიც შეტევაზე გადავიდნენ მთელი გუნდით, თუმცა ამას რაიმე არსებითი შედეგი არ მოუტანია. პირიქით, რონალდომ მეორედ აიღო კანის კარი. ეს იყო ბრაზილიელის მერვე გოლი ამ ტურნირზე და მეთორმეტე ბოლო ორ ჩემპიონატში, რითაც ის „ფეხბურთის მეფეს" — პელეს დაეწია.

ბრაზილიის ნაკრებმა გაიმარჯვა 2-0. ახლა ამ გუნდს აღარ შეეფერება ეპითეტი „ტეტრაკამპეონები" ახლა ჩემპიონები „პენტაკამპეონები" არიან.

# თურქები ისტორიაში სამგზის შევიდნენ

მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილისათვის გამართული მატჩი თურქეთისა და სამხრეთ კორეის ნაკრებებს შორის ისტორიული გამოდგა. თურქმა ფეხბურთელებმა, დაამარცხეს რა ტურნირის მასპინძლები, რამდენიმე საინტერესო მომენტით ისტორიაში შევიდნენ.

უპირველესად ის ვთქვათ, რომ თურქეთის ნაკრები პირველად მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მეორე, — შენოლ გიუნეშის გუნდი უნიკალურია იმ მხრივ, რომ მან ჩემპიონატის მსვლელობის დროს შეძლო ერთბაშად ორი მასპინძლის დამარცხება. და მესამე — თურქმა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ეტაპების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს! უკანასკნელი ფაქტი ასე მოხდა.

მსაჯის სასტარტო სასტვენისთანავე, კორეელებმა ბურთი უკან მიაწოდეს მცველებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება თურქი ილხან მანსიზი. ამ უკანასკნელმა ბურთი მიაწოდა ჰაქან შუქურს, რომელმაც ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ მომენტისათვის, მატჩის დაწყებიდან მხოლოდ 11 წამი იყო გასული!

აქამდე ყველაზე სწრაფი გოლის ავტორად ითვლებოდა ჩეხი მეშეკი, რომელმაც 1962 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მე-15 წამზე აიღო მექსიკის ნაკრების კარი. საერთოდ კი, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში (შესარჩევი ეტაპების ჩათვლით), ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა სან-მარინოს ნაკრების ფეხბურთელმა დევიდ გვალტიერიმ ინგლისის ნაკრების კარში მეცხრე წამზე!

მატჩი მესამე ადგილისათვის. ტეგუ (კორეა). 29 ივნისი.
სამხრეთ კორეა – თურქეთი 2-3 (1-3).
*კორეა:* ვუნ ჯაელი, ხანა, ჩულ იუ, კი ხიუნ სეული (ტაე უკ ჩოი), იუნგ პო ლი, იონგ ლი (დუ რი ჩა), ჩუნ სუ ლი, მინ სუნგ ლი, ჯუნგ ხვან ანი, მიხუგ ბო ხონგი (ტაე იუნგ კიმი), ჯი სუნგ პარკი, ჩონგ გუკ სონგი.
*თურქეთი:* რუშტუ, ბიულენტი, ფატიხი, ალპაი, თუგაი, ჰაკან შუქური, ბასტიურქი (ტაიფური), ილხანი, ერგიუნი, ემრე, ბელზოღლუ, (ჰაკან უნსალი), უმიტ დავალა (ოკანი).
*გააფრთხილეს:* იუნგ ლი, თუგაი, რუშტუ.
*გოლები:* 0-1 ჰაკან შუქური (1), 1-1 იონგ ლი (8), 1-2 ილხანი (11), 1-3 ილხანი (31), 2-3 ჩონგ გუკ სონგი (90).
*მსაჯი:* ს. მანე (ქუვეითი).

დავუბრუნდეთ თურქეთ-კორეას მატჩს. გაშვებული გოლის მიუხედავად, ტურნირის მასპინძლები არ დაბნეულან — მათ უკვე მერვე წუთზე მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება (თავი გამოიჩინა ლი იონგმა, თუმცა სამი წუთის შემდეგ ილხან მანსიზმა კვლავ დააწინაურა თურქეთის ნაკრები, მანვე 31-ე წუთზე მესამე გოლი გაიტანა — 3-1.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროსა და მეორე ტაიმის განმავლობაში გუუს ჰიდინკის შეგირდები ამაოდ ცდილობდნენ თამაშში გარდატეხის შეტანას. თურქი ფეხბურთელები ზუსტად თამაშობდნენ დაცვაში, აგრეთვე ჩინებულ ფორმაში იყო რუშტუ. კორეელებმა მატჩის უკანასკნელ წუთზე ერთი გოლის გატანა მაინც შეძლეს, თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა — თურქეთის ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3-2 და მესამე ადგილი დაიკავა!

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN


კორეა – თურქეთი


თურქეთის ნაკრები სტამბულის აეროპორტში

# რივალდო: „მსოფლიო ჩემპიონატებში გამოსვლა დავასრულე იმით, რაზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი"

ფინალური მატჩის მთავარი გმირი, რაღა თქმა უნდა, ორივე გოლის ავტორი რონალდო იყო, თუმცა გოლების გატანაში წვლილი რივალდოსაც მიუძღვის. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც რივალდომ „გაზეტა რუ"-ს ჟურნალისტს მისცა.

● ***ორივე გოლი თქვენი მონაწილეობით შეიქმნა...***

— როცა უკვე ასეთ დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ, აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ გაიტანა გოლი, ვინ გააკეთა საგოლე გადაცემა და ა.შ. დღეს რონალდოს ან რივალდოს დღე კი არა, ბრაზილიის დღეა.

● ***თვლით, რომ თქვენი საფეხბურთო კარიერა უნაკლოა?***

— ისევე, როგორც ნებისმიერ ფეხბურთელს, მეც მქონდა წარუმატებლობები, განსაკუთრებით ატლანტის ოლიმპიური თამაშების შემდეგ. მარიო ზაგალო თითქმის ერთი წელი არ მიწვევდა ნაკრებში. ამ ჩემპიონატის დაწყებამდე, ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილი წინასწარ გარანტირებული არავის ჰქონია. ბევრმა არ იცოდა, წავიდოდა თუ არა კორეასა და იაპონიაში... და მაინც, ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დავისაკუთრეთ, — ეს ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნება და კარიერის პიკია.

● ***ვის უძღვნით ამ გამარჯვებას?***

— მამაჩემს, რომელიც გარდაიცვალა მაშინ, როცა 17 წლის ვიყავი. საერთოდ, ყველა მიღწევას მამაჩემს ვუძღვნი ხოლმე.


რივალდო

● ***ამბობენ, რომ ეს ჩემპიონატი თითქმის ბოლო იყო...***

— დიახ, მე ამით დავასრულე მსოფლიო ჩემპიონატებზე თამაში ისე, რაზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი. მაგრამ საკლუბო დონეზე ფეხბურთს კიდევ 2-3 წელს ვითამაშებ, შემდეგ კი წყნარ ოჯახურ გარემოში ვიცხოვრებ.

● ***მართალია, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებას იაპონიაში აპირებთ?***

— ვნახოთ! ამ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ არა მაქვს იმის საფუძველი, რომ არ მიყვარდეს „ამომავალი მზის" ქვეყანა.

# „ოქროს ბუცი" - რონალდოს!

**ბრაზილიელმა რონალდომ, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორი გოლი გაიტანა, დამაჯერებლად მოიგო „ოქროს ბუცი". აქვე გაგაცნობთ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას:**

*რონალდო* **(ბრაზილია) — 8 გოლი,** *რივალდო* **(ბრაზილია),** *კლოზე* **(გერმანია) — 5-5,** *იონ დალ ტომასონი* **(დანია),** *კრისტიან ვიერი* **(იტალია) — 4-4,** *მარკ ვილმოტსი* **(ბელგია),** *პედრუ პაულეტა* **(პორტუგალია),** *დიოპი* **(სენეგალი),** *მანსიზი* **(თურქეთი),** *კინი* **(ირლანდია),** *მიხაელ ბალაკი* **(გერმანია),** *ფერნანდო მორიენტესი* **(ესპანეთი),** *რაულ გონსალესი* **(ესპანეთი),** *ჰენრიკ ლარსონი* **(შვედეთი) — 3-3.**

# მარადონას მსოფლიო ჩემპიონატი არ მოეწონა

„მსოფლიო ჩემპიონატი არ იყო მაინცდამაინც მაღალი დონის", — განაცხადა ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ. მისი აზრით, გერმანიის ნაკრები სუსტად გამოიყურებოდა, ხოლო ჩემპიონები გახდნენ რივალდო და რობერტო კარლოსი, და არა რონალდო, რომელმაც მეტოქეთა კარში 8 გოლი გაიტანა.



მარადონა არ ეთანხმება, ვისაც მიაჩნია, რომ რონალდო საუკეთესო ფეხბურთელია. მე რივალდოს და რობერტო კარლოსს დავასახელებდი. რონალდოს მუხლი სტკივა. ის თუ ჯანმრთელი იქნება, მომდევნო ჩემპიონატზე დამსახურებულად დაისაკუთრებს უძლიერესი ფეხბურთელის სახელს" — თქვა მარადონამ.

არგენტინელის აზრით, დიდი პოტენციალი გააჩნიათ სენეგალელ ფეხბურთელებს. „კორეის ნაკრებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა" — დასძინა მარადონამ.

# შეტაკება ლეიფციგში

**გერმანიის ქალაქ ლეიფციგში, ერთ-ერთ ქუჩაზე ფართო ეკრანზე აჩვენებდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას. რონალდოს გოლის შემდეგ ფეხბურთის ფანებმა ბოთლები დაუშინეს პოლიციელებს. შეტაკების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.**

# პელე: „მეორე პელე არასოდეს იქნება"

იაპონიისა და სამხრეთ კორეის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე ფეხბურთის მეფე — პელე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ჟურნალისტები ყოველთვის ცდილობდნენ მისგან აეღოთ ინტერვიუ, — პელესეული შეფასებები ხომ საინტერესო რამ არის. დღეს შემოგთავაზებთ ინტერვიუს, რომელიც ფეხბურთის მეფემ „გაზეტა რუ"-ს სპეციალურ კორესპონდენტს მისცა.


პელე

● ***მოგწონათ თუ არა ფეხბურთი, რომელიც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მონაწილეებმა აჩვენეს?***

— რა თქმა უნდა. დღეს ფეხბურთი უფრო სწრაფია, დინამიური, აყვანილია პროფესიონალიზმის უმაღლეს დონეზე.

● ***ტურნირის მასპინძლებზე რას იტყვით?***

— ყველაფერი დიდებულად ჩაატარეს და, რაც მთავარია, ამ ქვეყნების გუნდები მოკლე პერიოდში ფანტასტიკურად მოემზადნენ.

● ***არ გაგიკვირდათ საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრებების ჩავარდნები?***

— დიდ გუნდებს, ისტორიაში ზოგჯერ შავი დღეები დაუდგებათ ხოლმე. მსგავსი პერიოდი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მეც გავიარე — 1966 წელს, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, — მექსიკაში, 1970 წლის ჩემპიონატზე, მსოფლიო ჩემპიონები გავხდით. ასე რომ, არგენტინისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების დასაფლავება არ შეიძლება.

● ***შესაძლებელია თუ არა, მსოფლიო ჩემპიონატის ასეთ მაღალ დონეზე ჩატარება აფრიკაში?***

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ აფრიკელებს უკვე კარგი გუნდები ჰყავთ. საკმარისია, თუნდაც სენეგალის ნაკრები ვახსენოთ.

● ***ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება და სპეციალისტთა ნაწილი რონალდოს თქვენ გადარებთ...***

— ის მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ჩემი მასთან შედარება არ შეიძლება.

● ***როგორ! განა არ შეიძლება საფეხბურთო სამყაროს მეორე პელე მოევლინოს?***

— (იცინის). არა. ჩემმა მშობლებმა ასეთი მხოლოდ მე გამაჩინეს.

# ნიკიტა სიმონიანი და ქართული ფეხბურთი

ცნობილი სპორტული ჟურნალისტი და მწერალი ლევ კასილი წერდა: „...ჩვენ გვიყვარს ეს მომხიბლავი სპორტული თამაში (ლაპარაკია ფეხბურთზე — გ. ჩ.), რომელიც სავსეა შინაგანი დრამატიზმით და ბრწყინვალე სანახაობითი ქმედებით. ჩვენ გვიყვარს ეს თამაში, რომელიც თხოულობს ერთდროულად სწრაფ ვაჟკაცობას, ეშმაკურ, მაგრამ ჭკვიანურ გათვლებს, დახელოვნებულ პირად ტექნიკას და მის უთუო შერწყმას თავისი კოლექტივის თანამებრძოლ მოთამაშეებთან, მოულოდნელ, გამჭრიახულ გამოგონებას და უმკაცრეს დისციპლინას, უეცარ აღტყინებას და ნებისყოფის ხანგრძლივ თავშეკავებულობას, ძლიერ კუნთებსა და გაწვრთნილ ხასიათს“. ყველაფერი კარგადაა ნათქვამი და მას ბევრს ვერაფერს დაუმატებ.

...ოთხი წლის იყო პატარა ნიკიტა სიმონიანი, როდესაც 1930 წელს მისმა მშობლებმა გადაწყვიტეს არმავირიდან სოხუმში ჩამოსახლებულიყვნენ. სწორედ სოხუმის ქუჩის ბიჭებთან ერთად დასდევდა ბურთს ნიკიტა. მისი თანატოლი ამხანაგები იყვნენ ქართველი, აფხაზი, სომეხი და ბერძენი ბიჭები... იმ დროს ბავშვთა საფეხბურთო სპორტსკოლები, როგორც წესი, ამჟამინდელი გაგებით, საერთოდ, არ ფუნქციონირებდნენ. ბავშვებს საკუთარი ინიციატივით ავარჯიშებდა შოთა ლომინაძე, რომელიც იმავდროულად სოხუმის „დინამოში“ ნახევარმცველად თამაშობდა. თუ მანამდე ბავშვებისთვის ფეხბურთი მხოლოდ გასართობ თამაშად ითვლებოდა, მაშინ შოთა ლომინაძის ხელმძღვანელობით შემდგომში მათ დაიწყეს სრულფასოვანი ვარჯიში, რასაც თან ერთვოდა მონდომება, აზარტი, თავგანწირვა და დისციპლინა.

შოთა ლომინაძეს ბავშვები მიჰყავდა სოხუმის „დინამოს“ თამაშების საყურებლად, სადაც იმ დროს მასთან ერთად თამაშობდა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული ოსტატი ავთანდილ ღოღობერიძე. ნ. სიმონიანი თავის წიგნში — „ფეხბურთი — განა მხოლოდ თამაშია?“ იგონებს, რომ ის თვალს არ აშორებდა ავთანდილ ღოღობერიძის ვირტუოზულ თამაშს, ძალზე უნდოდა, გადმოეღო, აეთვისებინა და გაემეორებინა მისი ყველა სათამაშო ხერხი — სწრაფი გასვლები, ფინტები, დრიბლინგი, მოტყუება და კარში უძლიერესი დარტყმები.

ისიც აღსანიშნავია, რომ ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძესთან ერთად, იმ დროს სოხუმის „დინამოში“ თამაშობდნენ ვალტერ სანაია, გიორგი ანთაძე, იური ვარდიმიადი და სხვები, ე.ი. იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთა მთელი პლეადა, რომელმაც შემდგომში თავისი შესანიშნავი თამაშით თბილისის „დინამოში“ დაიმკვიდრა ადგილი.

სწორედ იმ დროს აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრებში გამოდიოდნენ: ვლადიმერ მარღანია, ნიაზ ძიაპშიპა, ვლადიმერ თარბა, ძმები ფანას და იური გრამატიკოპულო, იური ვარდიმიადი, გენადი ბონდარენკო, ნიკიტა სიმონიანი...

აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრებმა უფლება მოიპოვა გამოსულიყო საქართველოს პირველობის ფინალურ მატჩში, სადაც ის შეხვდა თავის თანატოლებს თბილისის „შრომითი რეზერვების“ გუნდიდან. ფინალური მატჩი აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. აქვე დავძენთ, რომ თბილისელთა მცველმა ვოვა ელოშვილმა ერთობ წარმატებით ითამაშა ნიკიტა სიმონიანის წინააღმდეგ, ის საიმედოდ „ჩაკეტა“ და მთელი თამაშის განმავლობაში მას გასაქანი არ მისცა, რის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ ნ. სიმონიანს ამ შეხვედრაში გოლი არ გაუტანია.

სოხუმის, გუდაუთის, გაგრის, ლესელიძის, ბათუმისა და შავიზღვისპირეთის თვალწარმტაც ადგილებში იხვეწებოდა ჩვენი ნორჩი, ჭაბუკი და ოსტატ ფეხბურთელთა ოსტატობა, თანდათანობით ყალიბდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა მათი სათამაშო ტექნიკა და ტაქტიკა.

სწორედ საქართველოს შავიზღვისპირეთში, ყოველი წლის დასაწყისში, გადიოდნენ სეზონისწინა სამზადისს საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეები: მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“, ცდკა, ლენინგრადის „ზენიტი“, თბილისის „დინამო“ და სხვა ცნობილი საფეხბურთო კლუბები, რომელთა ფეხბურთელები ინტენსიურად გადიოდნენ წვრთნას და ემზადებოდნენ დიდი საფეხბურთო ბატალიების გასამართად.

დიდი სამამულო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ 1944 წელს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს სპორტულ ბაზებზე ჩამოსვლა დაიწყეს სახელგანთქმულმა გუნდებმა — მოსკოვის „დინამომ“, ცდკამ, პროფკავშირების ნაკრებებმა, ლენინგრადის „დინამომ“ და სხვებმა. აქ ვარჯიშობდნენ და ხვეწდნენ თავიანთ ოსტატობას ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ — გრიგორი ფედოტოვი, ვლადიმერ დიომინი, ალექსეი გრინინი, ვსევოლოდ ბობროვი, კონსტანტინე ბესკოვი, ვასილ კარცევი, ლეონიდ და სერგეი სოლოვიოვები...

1945 წლის ბოლოს სოხუმში ჩამოვიდნენ მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელები. ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრები შეხვდა „კრილია სოვეტოვს“. ეს თამაში ფრედ — 1-1 დამთავრდა. ერთადერთი ბურთი მოსკოველთა კარში მასპინძელთა თავდამსხმელმა ნიკიტა სიმონიანმა გაიტანა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მის შემდგომ საფეხბურთო კარიერაში, ნიკიტა „კრილია სოვეტოვის“ გუნდში მიიწვიეს. ასე რომ, 1946 წლის საკავშირო ჩემპიონატის სეზონის დასაწყისშივე ნიკიტა უკვე მოსკოვშია. აქვე დავუმატებთ, რომ სწორედ იმჟამად, მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ თამაშობდა მიხეილ ჯოჯუა.

1946 წლის აპრილში მოსკოვის „კრილია სოვეტოვი“ საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში შეხვდა მინსკის „დინამოს“. ეს თამაში სოხუმში გაიმართა. ნ. სიმონიანი იგონებს, რომ თამაშის დღეს სასტუმროში, სადაც მისი გუნდი იყო დაბინავებული, მასთან შეწუხებული სახით მივიდა მისი ბიძაშვილი ივანე და აცნობა, რომ ადგილობრივი შინსახკომის თანამშრომლებმა სიმონიანთა ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს, მამამისი დააპატიმრეს და წაიყვანეს. შემდეგ სულ მალე ნიკიტასთან მივიდა მისი ძველი სოხუმელი პარტნიორი და საიდუმლოდ აცნობა, რომ ჩხრეკა და მამამისის დაპატიმრება დაშინების მიზნით მოახდინეს, რომ მიეღწიათ ერთადერთი მიზნისათვის, — ნიკიტა სიმონიანი იძულებული გაეხადათ გადასულიყო თბილისის „დინამოში“. აგრეთვე, სიმონიანი გააფრთხილა, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ, მასაც დააკავებდნენ და თბილისის გზას გაუყენებდნენ. საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი, მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“ მინსკის „დინამოს“ მოუგო ანგარიშით 1-0. ეს ერთადერთი ბურთი ნიკიტამ გაიტანა.

ორი დღის შემდეგ ნიკიტას მამა გაათავისუფლეს. შინსახკომის მაღალჩინოსნები მისგან მოითხოვდნენ, რომ მას თავისი შვილი — ნიკიტა დაერწმუნებინა თბილისის „დინამოში“ გადასვლის საჭიროებაში.

იმავე წლის შემოდგომაზე, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ნიკიტა სიმონიანი მშობლებთან სოხუმში ჩავიდა დასასვენებლად. მალე ის დაიბარეს აფხაზეთის შინსახკომის ხელმძღვანელთან, რომელმაც ნიკიტასთან საუბარი შორიდან დაიწყო, რომ ის, როგორც ქართული ფეხბურთის აღზრდილი, რატომ აღმოჩნდა მოსკოვში? შემდეგ შინსახკომის შეფმა, შეაჯამა რა გრძელი პრეამბულა, მას უთხრა: „საერთოდ, საქართველოს ხელმძღვანელობას აქვს აზრი, რომ შენ უნდა ითამაშო რესპუბლიკის გუნდში, ამისათვის უნდა წახვიდე თბილისში და ყველაფერი ადგილზე მოლაპარაკებით გაირკვეს“...





აი, რას ამბობს თავის მოგონებებში ნ. სიმონიანი თბილისში ჩასვლის შესახებ: „თბილისის ვოგზალზე მე დამხვდა ბორის პაიჭაძე, იმჟამინდელი სახელგანთქმული ფეხბურთელი. მან მითხრა, რომ ჩვენ გველოდებიან. მე არ დავინტერესებულვარ, სად და ვინ გვიცდიდნენ, ჩავთვალე, რომ შევხვდები თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას.

ბორის სოლომონის ძემ მე შემიყვანა სოლიდურ კაბინეტში, სადაც სავარძელში იჯდა სამოქალაქო ტანსაცმლიანი მსუქანი კაცი. მერე გავიგე, რომ კაბინეტის პატრონი შინსახკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი იყო.

— მომისმინე, დაიწყო მან წინასიტყვაობის გარეშე, რათ გინდა მოსკოვში ცხოვრება? შენ სომეხი ხარ. ქართველები და სომხები ძმები ვართ, ხოლო რუსები ჩვენ თურქებს გვეძახიან...

მე ვუპასუხე, რომ გუნდში მშვენივრად მეპყრობიან. წელიწადია, რაც მოსკოვში ვცხოვრობ და ჩემდამი უპატივცემულობა არ მიგრძვნია, არც სომხებისადმი, ანდა, ქართველებისადმი, საერთოდ. ჩემსა და რუს მეგობრებს შორის განსხვავებას ვერ ვგრძნობ.

მაგრამ ჩემი თანამოსაუბრე არ წყნარდებოდა და თქვა: — „ჩვენ კავკასიელები ერთად უნდა ვიყვეთ“!

დავინახე, რომ შეტევა ჩემზე ხუმრობით არ მიდიოდა და ამიტომ მე დავიწყე სხვადასხვა საბაბის მოფიქრება, რომ რაც შეიძლება სწრაფად დამეტოვა ეს კაბინეტი და რამენაირად მომეხერხებინა თბილისიდან გასხლტომა. მას ვუთხარი, რომ ჯერ საჭიროა, მე მოსკოვში წავიდე, გუნდის ხელმძღვანელობას ყოველივე განვუმარტო და საბუთები ავიღო.

— არაფერია საჭირო! შენ გაგიკეთებთ ახალ პასპორტს! ისურვებ? — გახდები სიმონიშვილი.

— მე მინდა სიმონიანად დავრჩე.

— კარგი, კარგი, ეს ხუმრობაა, — გამხიარულდა კაბინეტის პატრონი.

ბოლოს და ბოლოს, მოვილაპარაკეთ, რომ მე სოხუმში წავალ და რამდენიმე დღეში თბილისში დავბრუნდები.

ვოგზალზე ბორის პაიჭაძემ გამაცილა. მატარებელში მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭავს და ვფიქრობდი. საჭირო იყო არჩევანის გაკეთება, მიმეღო გადაწყვეტილება. მომეხდინა „კრილიასთან“ განშორება? ამის წარმოდგენა არ შემეძლო“...

ნ. სიმონიანმა პირველსავე გამსვლელ მატარებელზე შეიძინა ბილეთი, აძვრა ვაგონის მესამე თაროს საწოლზე და მოსკოვამდე თითქმის ძირს არ ჩამოსულა. მან მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ სამი სეზონი (1946-1947-1948 წ.წ.) ითამაშა და მხოლოდ 9 ბურთი გაიტანა. 1948 წელს საკავშირო პირველობაზე გუნდმა ბოლო, მე-14 ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც „კრილია სოვეტოვი“ დაიშალა, მწვრთნელები და ფეხბურთელები სხვა გუნდებში წავიდნენ. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ნ. სიმონიანზე მოსკოვის გუნდებმა „ნადირობა“ დაიწყეს. მას იწვევდნენ მოსკოვის „ტორპედოში“ და ცსკ-ში. მაგრამ 1949 წელს მან თამაში დაიწყო მოსკოვის „სპარტაკში“. სხვათა შორის, ნ. სიმონიანი და იგორ ნეტო, ერთად ჩაირიცხნენ ამ გუნდში. 1949-50 წ.წ. ჩემპიონატებში ნიკიტამ 60 გოლი გაიტანა. მან ბურთების გატანის რეკორდი სწორედ 1950 წელს „დაამყარა“, როდესაც 34 ბურთი შეაგდო მოწინააღმდეგეთა კარში.

1950 წელსვე ნ. სიმონიანი გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის თასის მფლობელია, ხოლო 1952 და 1953 წ.წ. საბჭოთა კავშირის ჩემპიონია.

1956 და 1958 წ.წ. „სპარტაკი“ კვლავ ჩემპიონია. ასე რომ, ნ. სიმონიანი იყო ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი, ორგზის (1954 და 1955 წ.წ.) ვერცხლის პრიზიორი და ორგზის (1949 და 1957 წ.წ.) ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ნ. სიმონიანი საერთოდ მოსკოვის „სპარტაკის“ ყველაზე საუკეთესო ბომბარდირი იყო.

1956 წელს ნ. სიმონიანმა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში მასთან ერთად ნაკრებში კიდევ 7 სპარტაკელი ფეხბურთელი გამოდიოდა. ნ. სიმონიანმა მხოლოდ ერთი — ფინალური მატჩი ჩაატარა იუგოსლავიის ნაკრებთან და გამარჯვებული გუნდის წევრებთან ერთად მას ოქროს მედალი გადასცეს. მან ფინალურ მატჩში ედუარდ სტრელცოვის მაგივრად ითამაშა, რომელმაც მანამდე ოთხ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ... ოქროს მედლის გარეშე დარჩა. ასეთი იყო იმჟამინდელი წესები...

ნ. სიმონიანს მონაწილეობა აქვს მიღებული შვეციის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 1958 წელს გაიმართა.

1959 წელს მან დაასრულა თავისი გამოსვლები საფეხბურთო მინდვრებზე. 1960 წლიდან დაწყებული, სხვადასხვა პერიოდში ათ წელზე მეტ ხანს იმუშავა მოსკოვის „სპარტაკის“ უფროს მწვრთნელად. ნ. სიმონიანმა შექმნა შესანიშნავი ანსამბლი 1969 წელს, როდესაც „სპარტაკმა“ ტახტიდან ჩამოაგდო კიევის „დინამო“ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. მისი ხელმძღვანელობით „სპარტაკი“ ორჯერ — 1962 და 1969 წ.წ. ჩემპიონი გახდა და სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

1973 წელს ნ. სიმონიანი იყო ერევნის „არარატის“ უფროსი მწვრთნელი, როდესაც სომეხი ფეხბურთელები პირველად და უკანასკნელად გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. აქვე დავძენთ, რომ ნიკიტა სიმონიანი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საკავშირო ნაკრებს.

წერილის დასასრულს გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ განსაცვიფრებელ ფაქტს. საქმე იმაშია, რომ ნ. სიმონიანი თავის წიგნში იხსენებს რა თითქმის ყველა იმჟამინდელ საბჭოთა გუნდებს და მრავალ ფეხბურთელს, ის თითქოს განგებ არაფერს ამბობს თბილისის „დინამოზე“ და გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელებზე — მიხეილ მესხზე, სლავა მეტრეველზე, გივი ჩოხელზე, მურთაზ ხურცილავაზე, რევაზ ძოძუაშვილზე, მანუჩარ მაჩაიძეზე, დავით ყიფიანზე, ალექსანდრე ჩივაძეზე და სხვებზე. აგრეთვე არაფერს ამბობს საბჭოთა ნაკრებზე, რომელმაც 1960 წელს ევროპის თასი მოიპოვა, „ქართული ფრთების“ — მიხეილ მესხის და სლავა მეტრეველის ბრწყინვალე თამაშის შედეგად.

ქართული ფეხბურთის წიაღში აღზრდილმა ნიკიტა სიმონიანმა გამოხატა უმადურობა და უპატივცემულობა ქართული ფეხბურთისადმი. დასანანია, მაგრამ რას იზამ?! ამ დროს იტყვიან — „შეუნდოს უფალმა“.

**გურამ ჩხიკვაძე**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელ მსოფლიო ჩემპიონატებზე არ გაუძევებიათ ფეხბურთელი მსაჯებს?***

ა — მეორე და მეშვიდე ჩემპიონატებზე

ბ — მეოთხე და მეცხრე ჩემპიონატებზე

გ — მეექვსე და მეთერთმეტე ჩემპიონატებზე

***2. ვინ ითამაშა მატჩი მესამე ადგილისათვის XVI მსოფლიო ჩემპიონატში?***

ა — ხორვატია — ჰოლანდია

ბ — გერმანია — ხორვატია

გ — ბრაზილია — დანია

***3. დაასახელეთ მსოფლიო XI ჩემპიონატის ბომბარდირი***

ა — ანრი

ბ — ბატისტუტა

გ — შუკერი

***4. ვისთან წააგო 1/4 ფინალი ესპანეთის ნაკრებმა XV ჩემპიონატში?***

ა — გერმანიასთან

ბ — იტალიასთან

გ — რუმინეთთან

***5. რომელმა გუნდებმა ვერ გადალახეს ჯგუფური ტურნირი 1966 წლის ჩემპიონატში?***

ა — იტალიამ, გერმანიამ, ინგლისმა

ბ — ინგლისმა, არგენტინამ, ესპანეთმა

გ — გერმანიამ, იტალიამ, საფრანგეთმა.

პასუხები: 1 — ბ, 2 — ა, 3 — ბ, 4 — ბ, 5 — ა.

# კახა კალაძე პოზიციას არ იცვლის

**გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც კახი კალაძემ ახლახან მისცა „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს. ვფიქრობ, ეს ინტერვიუ ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის.**

● *კახა, როგორი დამოკიდებულება გაქვთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან?*

— ნორმალური. უბრალოდ, მე უარი ვთქვი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე იმ მიზნით, რათა ჩემი ძმის ძებნა, რომელიც დაუდგენელმა პირებმა შარშან გაიტაცეს, უფრო დაჩქარებულიყო.

● *რაკი საქართველოს ნაკრები ვახსენეთ... საქართველოში ყოველთვის იყვნენ ნიჭიერი ფეხბურთელები. რა უშლით მათ საერთაშორისო არენაზე წარმატებების მიღწევაში?*

— პრობლემებია ბევრი... ნაკრებს ხშირად უცვლიან მწვრთნელს. ჩივაძის ხელმძღვანელობით თამაში საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებებით დაიწყო, ვნახოთ, რა იქნება შემდეგში...

● *ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდები ერთად მოხვდნენ...*

— სიმართლე გითხრათ, არ მომწონს ამ საკითხის გარშემო ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა. პირადად მე, თითოეულ მოწინააღმდეგეს პატივს ვცემ.

● *კვლავ არ ითამაშებთ ნაკრებში?*

— არა, თუმცა ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის.

# უიმბლდონის ტურნირზე




უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის მესამე წრე წარმატებით გაიარეს ლეიტონ ჰიუიტმა და ტიმ ჰენმენმა. ჰიუიტს არ გასჭირვებია გამარჯვება ავსტრალიელ კნოულესთან 6:2, 6:1, 6:3, ხოლო ჰენმენმა ოთხ პარტიაში დაძლია სამხრეთაფრიკელი ჩოგბურთელის უ. ფერეირას წინააღმდეგობა — 7:6, 3:6, 7:6, 6:1.

ვაჟთა შეჯიბრების სხვა მატჩების შედეგები: შალკენი (ჰოლანდია) — მორისონი (აშშ) 6:4, 7:6, 6:0. ვაცეკი (ჩეხეთი) — ვოინია (რუმინეთი) 6:1, 4:6, 6:3, 6:4. იუჟნი (რუსეთი) — ესკიუდე (საფრანგეთი) 6:2, 1:6, 6:3, 6:3. კრატოსვილი (შვეიცარია) — სტეპანეკი (ჩეხეთი) — 6:2, 6:3, 6:3. ლოპესი (ესპანეთი) — შუცლერი (გერმანია) 3:6, 7:6, 6:4, 6:4. ვენუს უილიამსმა პირველი სეტი წააგო კანადელ დრეიკთან, თუმცა, შემდგომ დიდი უპირატესობა მოიპოვა და საბოლოოდ გაიმარჯვა — 5:7, 6:2, 6:1. რუსმა ლისოვცევამ სერგეი ბალტაჩას ქალიშვილს სძლია — 6:4, 7:6. ***სხვა შეხვედრები:*** ენენი (ბელგია) — კაზანოვა (შვეიცარია) 6:4, 6:4. დემენტიევა (რუსეთი) — მაიოლი (ხორვატია) 7:5, 6:2, რეიმონდი (აშშ) — მარტინესი (ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:3. სელეში (აშშ) — სუგიამა (იაპონია) 4:6, 6:1, 6:4. *მეოთხე წრე:* ***ვაჟები:*** შალკენი — ვაცეკი 6:2, 7:5, 7:5; ჰიუიტი — იუჟნი 6:3, 6:3, 7:5; ნალბადიანი — არტურსი 6:4, 7:6, 2:6, 7:6; *ქალები:* ვ. უილიამსი — რეიმონდი 6:1, 6:2; ლიხოვცევა — მალეევა 6:3, 6:4.

## პაკისტანელს ებრაელთან დუეტში თამაშისთვის დასჯიან

*24 წლის ისრაელელი ჩოგბურთელი ამირ ხადატი პაკისტანელ აისამოლ კურეშთან გააერთიანა მიზანმა — წარმატებით ესპარეზათ უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე. პაკისტანელის კარიერაში აქ მიღწეული წარმატება პირველი იყო, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა. პაკისტანში გამოცემული ბრძანების თანახმად, სპორტსმენს არა აქვს უფლება ქვეყნის სპორტის მამების დაუკითხავად გადაწყვიტოს, თუ სად და ვისთან ერთად ისპარეზოს. ამის გამო, კურეშის სპორტიდან მოკვეთა ემუქრება.*

# ჩემპიონთა თასი იქნება, „ულებ“-თასიც?



უახლოეს ხანში ევროპაში შესაძლოა ახალი ტიპის საკალათბურთო ტურნირი ჩაატარონ. საუბარია „ულებ“-ის თასის დაარსებაზე. ამ საკითხს მიეძღვნება კალათბურთის ეროვნული ლიგების დირექტორთა საბჭოს (ულებ-ი) სხდომა, რომელიც მიმდინარე თვეში ჩატარდება.

ახალი გათამაშების ჩატარება გადაწყდა მას შემდეგ, რაც ულებ-ის წარმომადგენლებმა დაასრულეს მოლაპარაკებები ფიბა-ს ხელმძღვანელობასთან. კალათბურთის ევროპულმა ფედერაციამ დაადგინა, რომ ახალი საკალათბურთო სეზონიდან ფიბას თასის ნაცვლად კონტინენტის ჩემპიონთა თასის გათამაშება ჩატარდება.

# 2003 წელს ევროპის პირველობა საფრანგეთში ჩატარდება



მოსკოვში ჩატარდა ფარიკაობის ევროპის ფედერაციის კონგრესის მორიგი სხდომა, რომელზედაც მიიღეს გადაწყვეტილება, ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის ფრანგულ ქალაქ ბურჟში ჩატარების შესახებ. ასევე დადგინდა, რომ 2004 წელს ევროპის პირველობას დანიის ქალაქი კოპენჰაგენი უმასპინძლებს.

# კუბელმა ქალებმა პანამერიკული თასი მოიპოვეს



**მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — კუბის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები კიდევ ერთ ტიტულს დაეუფლა — მექსიკის ქალაქ ტიხუანაში გამართულ პანამერიკული თასის გათამაშების ფინალში კუბელმა ქალებმა დომინიკის რესპუბლიკის ნაკრები დაამარცხეს 3:1 (25:23, 25:22, 24:26, 25:16) და თასის მფლობელები გახდნენ. მესამე ადგილზე გავიდნენ კანადელები, რომლებმაც მასპინძელთა გუნდს სძლიეს — 3:0 (25:21, 25:22, 25:16).**

# კლიჩკო მზად არის ლენოქს ლუისთან საბრძოლველად




ატლანტიკ-სიტის „ტრ.მპ ტაჯ-მაჰალის“ დარბაზში უამრავი მაყურებელი დაესწრო პროფესიონალი მოკრივეების ვლადიმერ კლიჩკოს და რეი მერსერის ორთაბრძოლას.

თავდაპირველად მერსერი აქტიურობდა. თუმცა, კლიჩკომ მალევე აუღო ალღო მეტოქეს და პირველივე რაუნდში მოიპოვა უპირატესობა. ამერიკელ მოკრივეს ნოკდაუნამდე ცოტა დააკლდა — შესვენების მაუწყებელმა გონგის ხმამ უშველა. მომდევნო სამი რაუნდის განმავლობაში რეი მერსერი უტევდა, თუმცა უშედეგოდ. მეექვსე რაუნდის დასაწყისში კი კლიჩკომ მეტოქე ნოკდაუნში გაგზავნა. ამრიგად, ვლადიმერ კლიჩკომ „ვბო“-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნა და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა კრივის სამყაროს, რომ მზად არის ლენოქს ლუისთან შეხვედრისათვის.

„მე მერსერთან საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადავიტანე, — ასეთი ძლიერი მეტოქე ჯერ არ მყოლია. ახლა კი ლუისთან ბრძოლა მსურს...“ — განაცხადა კლიჩკომ.

რაც შეეხება რეი მერსერს, საინტერესოა, რომ კლიჩკოსგან მიღებული ნოკაუტი პირველი აღმოჩნდა მის სპორტულ კარიერაში.

# ლეგენდარულმა ბონეკმა შესაძლოა, პოლონეთის ნაკრებს უხელმძღვანელოს



მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს პოსტი წარსულში ქვეყნის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ლეგენდარულ ფეხბურთელს ზბიგნევ ბონეკს (სურათზე) შესთავაზა.

— გპირდებით, რომ შემოთავაზებულ წინადადებას გულდასმით განვიხილავ. ეს მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოა, თანაც ამბიციური ვარ და არ მიყვარს წაგება. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ — განაცხადა ბონეკმა ჟურნალისტებთან საუბარში. მანვე თქვა, რომ ფედერაციას საბოლოო პასუხს 10 ივლისამდე გასცემს.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ზბიგნევ ბონეკი 1965 წლის 3 მარტს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ბიგდოშეში. მან სახელი გაითქვა „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ბრწყინვალე თამაშით. ამ გუნდში ის 1982 წელს გადავიდა მიშელ პლატინისთან ერთად.

„იუვენტუსთან“ ერთად ბონეკმა მოიგო იტალიის თასი (1983) სკუდეტო (1984) და ბევრი საერთაშორისო ტურნირი, მათ შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი (1984), ჩემპიონთა თასი და სუპერთასი (1985).

სწორედ ბონეკის ბრწყინვალე თამაშმა მიიყვანა პოლონეთის ნაკრები ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის (1982) ნახევარფინალამდე. ბონეკმა ქვეყნის ნაკრებში 80 მატჩი ჩაატარა და 24 გოლიც გაიტანა.

# ზოგიც თასზე, ზოგიც ამხანაგურად

გაიმართა მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩები მორაგბეთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამერიკის ზონაში კანადის ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა აშშ-ს გუნდთან შეხვედრაში ანგარიშით — 26:9.

აზიის ზონაში კორეელებმა ტაივანის ნაკრები გაანადგურეს — 119:7. ოკეანიის ზონაში სამოელებმა ქართველების ძველი მეტოქე — ტონგას ნაკრები დაამარცხეს — 31:13. აფრიკის ზონაში ნამიბიის ნაკრებმა სტუმრად პრინციპული მატჩი მოუგო ზიმბაბვეს გუნდს — 42:30, რის შედეგადაც ნამიბიელებმა ტუნისელებთან და მაროკოელებთან ერთად თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

გაიმართა რამდენიმე ამხანაგური მატჩიც: ავსტრალიის ნაკრებმა საფრანგეთის გუნდს სძლია — 31:25, სამხრეთ აფრიკელებმა არგენტინელები დაამარცხეს — 49:29, ხოლო ახალზელანდიელებმა — ფიჯის გუნდი — 68:18.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




2 ივლისი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (20.00), *მე-9 არხი.* „მსოფლიო რაგბი“ (14.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (11.45, 17.00), წყალბურთი. მსოფლიო ლიგა (15.10), წყალ-სამოტორო სპორტი. მსოფლიო სპორტი (0.00), ***НТВ плюс футбол.*** ვიხსენებთ განვლილ სეზონს: იტალიის ჩემპიონატი „იუვენტუსი“ – „ვენეცია“ (15.05), ჩემპიონთა ლიგა 2001-2002: „რომა“ – „რეალი“ (16.55), „იუვენტუსი“ – „სელტიკი“, ინგლისის ჩემპიონატი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ბოლტონი“ (23.35), ***EUROSPORT.*** მძლეოსნობა. შეფილდი. გრან-პრი (13.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (17.00), ფეხბურთი. უეფა-ს ლიგის კლასიკური მატჩები (18.00), მძლეოსნობა. ლოზანა გრან-პრი (22.30).

3 ივლისი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა (19.15), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45). ***НТВ плюс футбол.*** ვიხსენებთ განვლილ სეზონს: ინგლისის ჩემპიონატი (15.30), ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (19.20), ესპანეთის ჩემპიონატი (23.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები (11.45), ვაჟები. მეოთხედფინალები (17.00), ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი (14.40). ***EUROSPORT.*** ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი (16.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (17.00), ცხენოსნობა. „სამსუნგის“ ეროვნებათა თასი (0.00).

4 ივლისი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* საკალათბურთო მიმოხილვა (17.25), რუსთავი-2. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა (19.15), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ვიხსენებთ განვლილ სეზონს: ესპანეთის ჩემპიონატი (13.15), ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (19.20), „მსოფლიო ფეხბურთი“ (23.00), ინგლისის ჩემპიონატი (23.30), რუსეთის ჩემპიონატი (1,25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი, ვაჟები. მეოთხედფინალები (11.45), ქალთა ნახევარფინალები (17.00), ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (23.00), საცხენოსნო სპორტი. რუსეთის თასი (1.25), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. „დანონის“-ის თასი (11.30), თანამედროვე ხუთჭიდი (13.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (17.00), უეფა-ს ლიგის ჩემპიონთა კლასიკური მატჩები (18.00), ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (15.30), ფეხბურთი. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (23.00, „ფორმულა-1“. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15). ტელეკომპანია. *VII არხი.* სტუდია „ერა“. ბრძოლა წესების გარეშე (21.45).

# «აუდი» «ფორმულა-1»-ში 2004 წელს გამოჩნდება



უკვე ბოლო ორი წელიწადია, საზღვარგარეთულ პრესაში საუბრობენ „ფორმულა-1“-ის რბოლის მონაწილეთა რიგებში კომპანია „აუდის“ შესაძლო გამოჩენაზე. დე-ტე-ემ-ის რანგის ჩემპიონატებში წარმატების ფონზე, „აუდის“ მართლაც რომ დიდი პერსპექტივა აქვს, გადავიდეს „ფორმულა-1“-ში.

ამ კომპანიის მესვეურებმა გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „აუდის“ პრეზენტაცია „ფორმულა-1“-ში 2004 წელს შედგება.

# ლე გუნი აპროტესტებს

**ფრანგი არბიტრი მარი რენ ლე გუნმა, რომელიც სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მექრთამეობაში დაადანაშაულეს და ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო კავშირმა დისკვალიფიკაცია მისცა, ამ გადაწყვეტილების საარბიტრაჟო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.**

# კროსვორდი № 50



თარაზულად: 1. 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 7. ერთ-ერთი სპორტული საზოგადოება, 8. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 10. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 13. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 14. ცნობილი მოჭადრაკე ქართველი ქალი, 16. მძლეოსნობის იარაღი, 17. ჩეხური მანქანების წარმოების ფირმა, 19. უნგრელი მოჭადრაკე ქალი, 20. ფოთის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მწვრთნელი.

შვეულად: 2. ფიდეს ყოფილი პრეზიდენტი, 3. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 4. ფრანგი ჩოგბურთელი ვაჟი, 5. წარსულში ცნობილი იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 6. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 9. კიევის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 11. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 12. ფიფას შტაბბინის ადგილი, 13. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 15. მოკრივეთა საასპარეზო, 17. შეჯიბრების ნაწილი, სადაც ყველა მონაწილე თითოჯერ ხვდება ერთმანეთს, 18. ცნობილი კორეელი ფეხბურთელი.

## კროსვორდი №49. პასუხები

თარაზულად: 6. კრატასიუკი, 8. ფრაკი, 10. შხარა, 11. ლი, 12. ლიპსი, 14. ფლეში, 15. ფარი, 19. „ნიუკასლი“, 20. ვეა, 21. სარბიელი, 22. კიი, 23. ჩოი.

შვეულად: 1. აკვრა, 2. ბასელი, 3. ისა, 4. ჩუი, 5. ზაგალო, 7. სამპრასი, 9. ელოშვილი, 13. კატერი, 16. სკალა, 17. გიგზი, 18. „არაუ“.

# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(ს. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლg1! 1. ...b5 2. ლa7X.
1. ...cd 2. ლ:b6X. 1. ...c2 2. ლ:e1X.
1. ...კ – 2. ლa1X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე




